ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ოქტომბრის რევოლუციის ორდენის დაწესების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად დაწესდეს **ოქტომბრის რევოლუციის ორდენი.**
2. დამტკიცდეს ოქტომბრის რევოლუციის ორდენის სტატუტი.
3. დამტკიცდეს ოქტომბრის რევოლუციის ორდენის აღწერილობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1967 წლის 31 ოქტომბერი.

მოსკოვში, ზეიმზე

გუშინწინ მოსკოვში დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის დღესასწაულობაზე გაფრინდა საქართველოს დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის **ვ. პ. მჟავანაძის** მეთაურობით. რესპუბლიკის წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ზეიმში.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რესპუბლიკის მინისტრები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, კომუნისტური პარტიის ვეტერანები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, პარტიული და საბჭოთა მუშაკები (საქინფორმი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 215 (3445)

2

1967 წ.
ნოემბერი,
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის
24-ე წელი.

გუშინ...

„ოქროს" მაძიებელთა მარცხი

მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩი „ა" კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის. მოსკოვის დინამოელებმა მიიღეს ლუგანსკის „ზარია".

თამაში დამთავრდა ლუგანსკელთა გამარჯვებით — 1:0.

◆

I „ა" კლასი
ჯგუფი

სსრ კავშირის პირველობა
გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (კიევი)	30	18	10	2	45—10	46
„დინამო" (მოსკოვი)	32	17	12	3	50—19	46
„დინამო" (თბილისი)	32	14	12	6	42—26	40
„დინამო" (მინსკი)	31	11	15	5	42—27	37
„შახტიორი" (დონეცკი)	31	12	12	7	40—36	36
„სპარტაკი" (მოსკოვი)	31	11	13	7	34—25	35
„არარატი" (ერევანი)	31	12	9	10	34—30	33
ცსკა	31	11	11	9	33—31	33
„ნეფტიანიკი" (ბაქო)	30	11	9	10	42—32	31
„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)	31	8	15	8	22—21	31
„ტორპედო" (მოსკოვი)	30	11	6	13	34—41	28
ასკ (როსტოვი)	31	10	7	14	29—38	27
„ზარია" (ლუგანსკი)	32	8	11	13	23—35	27
„ტორპედო" (ქუთაისი)	32	7	12	13	32—46	26
„კაირატი" (ალმა-ათა)	32	8	9	15	23—46	25
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	31	7	10	14	29—32	24
„პახტაკორი" (ტაშკენტი)	32	4	16	12	28—40	24
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	31	7	8	16	20—41	22
„ზენიტი" (ლენინგრადი)	31	6	9	16	22—48	21

ჩვენგან, არავინ...

სოჭში დამთავრდა იუნიორ ჩოგბურთელთა საკავშირო ასპარეზობა. დიდი ალმავლობით ჩაატარეს შეჯიბრება ლენინგრადელმა ა. ერემეევამ და მოსკოველმა ვ. კოროტკოვმა: მათ ერთეულთა თანრიგში პირველობა არავის დაუთმეს. დანარჩენ საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: გოგონებში — რ. ისლანოვა, ტ. ჩალკო, ვაჟებში — ა. ვოლკოვი, ხ. სეპი. წყვილებში საპრიზო სამეულები ასე განლაგდნენ: გოგონები — ჩუვირინა — ისლანოვა, ჩალკო — ერემეევა, გვაი — დავიდოგლოვა; ვაჟები — კოროტკოვი — ვოლკოვი, აკსანოვი — ბუზმაკოვი, გლოტოვი — ტარპიშჩევი; შერეული თანრიგი — ჩუვირინა — კოროტკოვი, ერემეევა — ტარპიშჩევი, ისლანოვა — ვოლკოვი.

პრიზიორებში საქართველოს ჩოგბურთელთაგან ვერავინ მოხვდა.

უკანასკნელი საათი...

◆ **ერევანი,** 1 ნოემბერი. 5 დღეს გრძელდებოდა სსრ კავშირის თასის გათამაშება ფარიკაობაში. დაშნით მოფარიკავეთა შორის გაიმარჯვა ბელორუსიელმა ი. სმოლიაკოვმა. ესპადრონისტებში ტოლი არ ჰყავდა ლენინგრადელ ე. ვინოკუროვს. რაპირით მოფარიკავეთა შორის უძლიერესები იყვნენ მოსკოველები — ნ. კონდრატიევა და ლ. რომანოვი. გუნდურ ჩათვლაში ზედიზედ მეორედ გაიმარჯვეს უკრაინელებმა, რომლებმაც ფინალში სძლიეს რსფსრ-ს წარმომადგენლებს — 3:1.

◆ **ამსტერდამი,** 1 ნოემბერი. ჰოლანდიის მოციგურეთა კავშირმა მომავალი ოლიმპიური სეზონისთვის შეარჩია გუნდები, რომლებშიც შევიდნენ: ქალები — მსოფლიო ჩემპიონი ს. კაიზერი, კ. ჰაისენი, ა. სხუტი, ვ. ბურგმაიერი, ე. ვან დე ბრონი, ნ. პოსტი და ტ. ფელდჰოფი; ვაჟები — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი კ. ფერკერკი, მსოფლიო რეკორდსმენი ა. სხენკი, ი. იორიტსმა, პ. ნოტეტი, ა. ერიქსი და კ. ვინკელი.

◆ **კისლოვოდსკი, 1 ნოემბერი.** აქ დამთავრდა სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატი შაშში, მაგრამ ჩემპიონი არ გამოვლინებულა. ლ. აგოფონოვამ და ი. ცინემ 8,5-8,5 ქულა დააგროვეს და I-II ადგილები გაიყვეს. ჩემპიონის გამოსარკვევად, უახლოეს ხანში მათ შორის მატჩი გაიმართება.

◆

ამას წინათ თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის მძლეოსანთა მატჩი, რომელიც მომავალმა ინჟინრებმა მოიგეს — 155:134. პოლიტექნიკური ინსტიტუტის საერთო ყულაბაში 8 ქულა შეიტანა თ. ბექაურმა. იგი 100 მეტრზე რბენაში პირველი იყო. 200 მეტრზე კი II ადგილი დაიკავა.

სურათზე: თ. ბექაური სტარტზე.

◆



სტარტზე —
10 ათასი

თბილისის სპროფკავშირმა ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისთვის მრავალი ღონისძიება გამართა, მაგრამ იმის დარი, რომელიც 3 ნოემბერს მოეწყობა, არც ერთი არ ყოფილა. ამ დღეს დედაქალაქის თითქმის ყველა ბაზაზე ჩატარდება სხვადასხვა მასშტაბის ტურნირები. საასპარეზოდ გამოვლენ თბილისის რაიონების საუკეთესო ფიზკულტურელები.

პირველი მაისის რაიონის წარმომადგენლები „განთიადის" ბაზებზე მოაწყობენ მასობრივ ტურნირებს ხელბურთსა და ფრენბურთში, დარბაზში კი მოკრივენი იასპარეზებენ „ღია რინგზე". მოკრივეთა ასეთივე შეჯიბრება გაიმართება საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოს კრივის დარბაზში. ძალოსნობის დარბაზში გათამაშდება ქალაქის სპორტკავშირის თასი ამ სახეობაში. ტრამვაელთა კალათბურთის მოედანზე იასპარეზებენ ფიზკულტურის კოლექტივების კალათბურთელები, აქვე ჩატარდება „დინამოსა" და „ბურევესტნიკის" ოსტატ ვაჟთა, აგრეთვე, „ბურევესტნიკის" ქალთა I და II გუნდების შეჯიბრება. ფრენბურთში ქალაქის ჩემპიონატის მონაწილე გუნდები ასპარეზობას სპორტნაგებობათა სამმართველოს მოედნებზე დაიწყებენ. ველოსტადიონზე სტარტს აიღებს ქალაქის სპორტკავშირის თასის გათამაშება სატრეკო რბოლაში. დიღმის მასივის ჯანმრთელობის სახალხო კლუბ „დიღმის" წევრები მასობრივ შეჯიბრებებს ჩაატარებენ სპორტის სხვადასხვა სახეობაში. დიღმის მასივთანვე მიეცემა სტარტი ქალაქის მძლეოსნურ ესტაფეტასაც. „დინამოს" სტადიონი უმასპინძლებს საფეხბურთო სპეციალური სკოლების საქალაქო პირველობის მონაწილეებს — „დინამოსა" და „ლოკომოტივის" ნორჩ ფეხბურთელებს.

„მოცლილი" არც 26 კომისრის რაიონის ბაზები იქნება. იმის გარდა, რომ „განთიადის" აუზის ცისფერი ბილიკები „ღია სტარტის" მონაწილეებს დაეთმობათ, რაიონის ფეხბურთის მინდვრებზე სპეციალური საფეხბურთო სკოლების გუნდების 3 მატჩი მოეწყობა. არმიელთა სპორტკლუბის სტადიონზე ითამაშებენ „ივერია" — „ვეძისი-3", „ყაყაჩო" — „დელისი-3", „ნაკადული" — „ინტერნატი-5". სახალხო კლუბ „გაზაფხულის" ხელმძღვანელობის თაოსნობით, მასიველები პირველობას გამართავენ სპორტთამაშებში. სპორტსკოლის დარბაზში კი ჩატარდება რაიონის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მატჩები ფრენბურთში.

სხვებს არც ორჯონიკიძის რაიონის ფიზკულტურელები ჩამორჩებიან. დახურულ აუზში, მედქალაქის სტადიონზე, ცენტრალურ ტანვარჯიშულ დარბაზში, კიროვის პარკის მოედნებზე, ჯანმრთელობის სახალხო კლუბ „დელისის" მიკრორაიონებში და სხვაგან სარბიელზე გამოვლენ მოცურავეები, წყალბურთელები, ფეხბურთელები, ტანმოვარჯიშეები, აკრობატები, კალათბურთელები და სხვა სახეობათა წარმომადგენლები.

მოჭადრაკე ქალთა მასობრივი საქალაქო პირველობის ფინალი (საჭადრაკო კლუბში), კალინინის სახელობის რაიონის ჩემპიონატი ფრენბურთსა და კალათბურთში (კომუნარების ბაღში), კიროვის რაიონის პირველობა ფრენბურთში (300 არაგველის პარკში), ელვისებური ტურნირები ჩოგბურთში (სპორტნაგებობათა სამმართველოსა და „დინამოს" კორტებზე), მოცურავეთა ღია სტარტი და ფეხბურთი („შრომითი რეზერვების" ბაზებზე, აგრეთვე, „სინათლის" სტადიონზე). აი, იმ ასპარეზობათა არასრული სია, რომლებიც ხვალ გაიმართება. როგორც ქალაქის სპორტკავშირში გვითხრეს, ამ შეჯიბრებების სტარტზე ათეულ ათასობით სპორტსმენი გამოვა.

შეჯიბრებების დასაწყისი 16 ს.

ჯილდოები — ღირსეულთ

სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს ბიუროს დადგენილებით ფიზიკურ კულტურასა და სპორტში დამსახურებისთვის დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით „საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებაში მრავალწლიანი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის" სამახსოვრო ნიშნებით დაჯილდოვდნენ:

1. **ა. აბაშიძე** — სამტრედიის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
2. **ნ. აბესაძე** — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი.
3. **ა. აბზიანიძე** — წულუკიძის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
4. **ა. აბრამოვი** — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზკულტურის მასწავლებელი.
5. **ი. აბულაშვილი** — სიღნაღის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
6. **ა. ავალიანი** — თბილისის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
7. **გ. ავალიშვილი** — „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს უფროსი მწვრთნელი კალათბურთში.
8. **ვ. ავაქიანი** — თბილისის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
9. **ნ. აკოფოვი** — თბილისის „სპარტაკის" მწვრთნელი ჭიდაობაში.
10. **გ. აზაურაშვილი** — პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი.
11. **პ. ალანია** — აბაშის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
12. **ე. ალიმანოვი** — ქუთაისის „დინამოს" მწვრთნელი მძლეოსნობაში.
13. **მ. ამნიაშვილი** — „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი.
14. **ვ. არუთიუნოვი**—„დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს განყოფილების გამგის მოადგილე.
15. **ვ. აფრიდონიძე** — ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის გამგე.
16. **შ. ახვლედიანი** — საქართველოს სპორტკავშირის განყოფილების გამგე.
17. **გ. ბაბილოძე** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის უფროსი მასწავლებელი.
18. **ს. ბაბუნაშვილი** — ზუგდიდის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
19. **ა. ბაქრაძე** — საქართველოს სპორტკავშირის უფროსი მწვრთნელი.
20. **ზ. ბაღდავაძე** — საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-მუშაკი.
21. **ი. ბაცელაშვილი** — საქართველოს განათლების სამინისტროს ფიზაღზრდისა და სპორტის განყოფილების გამგე.
22. **მ. ბერიევი** — „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
23. **გ. ბერიძე** — საქართველოს ფიზკულტურის მუზეუმის საბჭოს წევრი.
24. **გ. ბ. ბერულავა** — ქუთაისის ცენტრალური სტადიონის დირექტორი.
25. **გ. ი. ბერულავა** — აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
26. **ი. ბეზროდნი** — აჭარის „დინამოს" საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი.
27. **ი. ბიბილეიშვილი** — თბილისის ინდუსტრიალური ტექნიკუმის დირექტორი.
28. **ქ. ბიბილური** — საქართველოს განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სპორტსკოლა-ინტერნატების განყოფილების გამგე.
29. **ი. ბობოხიძე** — ქუთაისი, მწვრთნელი ჭიდაობაში.
30. **გ. ბოგდანოვი** — ქუთაისი, მწვრთნელი ჭიდაობაში.
31. **შ. ბოსტაშვილი** — თბილისის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
32. **ი. ბოჭორიძე** — „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე.
33. **ო. ბუაძე** — ფოთის ახალგაზრდული სპორტსკოლის დირექტორი.
34. **ი. ბუაჩიძე** — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი.
35. **შ. ბუხრაშვილი** — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.
36. **ვ. გაგნიძე**—თელავის სპორტკავშირის თავმჯდომარე.
37. **ი. გალოგრე** — თბილისის „დინამოს" ფიზკულტურის სახლის გამგე.
38. **ო. გარდაფხაძე** — ლენტეხის რაიონის სოფელ ჩოლურის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
39. **ვ. გარსიაშვილი** — საგარეჯოს საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
40. **გ. გაჩეჩილაძე** — საქართველოს სპორტკავშირის უფროსი მწვრთნელი ჭადრაკში.
41. **თ. გეგელაშვილი** — თბილისის პიონერთა სასახლის მწვრთნელი კალათბურთში.
42. **ა. გევორქოვი** — ცხინვალის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
43. **დ. გელაძე** — თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის უფროსი მასწავლებელი.
44. **ს. გელაძე** — თბილისი, მწვრთნელი ძალოსნობასა და ჭიდაობაში.
45. **პ. გელბახიანი** — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი.
46. **შ. გეწაძე** — ზესტაფონის ახალგაზრდული სპორტსკოლის დირექტორი.
47. **ა. ა. გვალია** — გეგეჭკორის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
48. **ა. ი. გვალია** — თბილისის ტურისტული კლუბის დირექტორი.
49. **მ. გვარლიანი** — მესტია, მთამსვლელობის ინსტრუქტორი.
50. **ო. გიგინეიშვილი** — საქართველოს მთამსვლელობის ფედერაციის თავმჯდომარე.
51. **ლ. გიორგაძე** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრის უფროსი მასწავლებელი.
52. **ვ. გოგრიჭიანი** — „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს განყოფილების გამგე.
53. **ლ. გოლოვნია** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფარიკაობის კათედრის დოცენტი.
54. **ი. გომერი** — „განთიადის" ინსტრუქტორი ჩოგბურთში.
55. **ა. გონელი** — თბილისის სპორტკავშირის უფროსი ინსტრუქტორი.
56. **მ. გორგაძე** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორი.
57. **გ. გოშაძე** — საქართველოს ხელბურთის ფედერაციის თავმჯდომარე.
58. **ა. გრომოვი** — „განთიადის" ცენტრალური საბჭოს ინსტრუქტორი.
59. **გ. გულუა** — ცხაკაიას საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
60. **პ. გუმაშიანი** — „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს უფროსი მწვრთნელი ძალოსნობაში.
61. **ნ. დადიანი** — თბილისის „სპარტაკის" მწვრთნელი ცხენოსნობაში.
62. **შ. დიასამიძე** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთის, ფრენბურთისა და მოძრავი თამაშების კათედრის უფროსი მასწავლებელი.
63. **ბ. დიაჩკოვი** — თბილისის „დინამოს" მწვრთნელი მძლეოსნობაში.
64. **ო. დიდებულიძე** — თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის უფროსი მასწავლებელი.
65. **ვ. დიდიძე** — „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
66. **ა. დოკვაძე** — საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-მუშაკი.
67. **შ. დუმბაძე** — საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის გამგე.
68. **ბ. ევგრაფოვი** — თბილისი, საზოგადოებრივი მწვრთნელი სროლაში.
69. **ვ. ეჯიბია** — ცხაკაიას 8-წლიანი საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
70. **გ. ვართანოვი** — „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს უფროსი მწვრთნელი კრივში.
71. **ქ. ზაალიშვილი** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის უფროსი მასწავლებელი.
72. **რ. ზაალიშვილი** — თბილისის ჭაბუკთა და ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელი.
73. **ქ. ზაუტაშვილი** — თბილისის უნივერსიტეტის ფიზაღზრდის კათედრის გამგე.
74. **ს. ზურაბოვი** — თბილისის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
75. **გ. ზურებიანი** — მესტია, მთამსვლელობის ინსტრუქტორი.
76. **ა. ივანიშვილი** — საქართველოს მთამსვლელობის ფედერაციის წევრი.
77. **პ. იორდანიშვილი** — თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელი ჭიდაობაში.

(გაგრძელება იქნება)

განა ეს ჩემპიონატია?

ველოკროსმენთა შეჯიბრებები ტრადიციულად სპორტული სეზონის მიწურულში — შემოდგომისა და ზამთრის მიჯნაზე ეწყობა.

რატომ?

მიზეზების გარკვევა ჩვენი დღევანდელი საუბრის თემას არ წარმოადგენს. ცნობილია მხოლოდ ორი რამ. ჯერ ერთი ის, რომ ამ პერიოდის სტაბილურობას მტკიცედ იცავენ ჩვენშიც და საზღვარგარეთაც. შემდეგ, ველოსიპედისტთა შორის სწორედ კროსმენებს დაეკისრათ სპორტული სეზონის დამთავრება — „ჩაკეტვა".

ამ წესის ტრადიციულობას იცავენ რესპუბლიკაშიც, როცა სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმა მტკიცდება. მაშ ასე, თბილისის კროსმენთა პირველობის ვადები კარგა ხნით ადრე იცოდნენ სპორტულმა ორგანიზაციებმა და საზოგადოებებმა.

ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ორმა სპორტსაზოგადოებამ: „ბურევესტნიკმა" და „განთიადმა". თუ ამას დავუმატებთ კიდევ რამდენიმე „მოხალისეს" (პირად პირველობაში მონაწილეს), ცხადი გახდება, თუ რაოდენ „მძლავრი" შეჯიბრება ჩატარდა გასულ კვირას დელისის მიდამოებში. სტარტზე გამოვიდა 10 (!) ველოკროსმენი.

იბადება კითხვა. რა აზრი აქვს ჩემპიონატს (თუ არ შეგვრცხვება და მას ჩემპიონატს ვუწოდებთ), რომლის სტარტს 10 ველოსიპედისტი იღებს და მათგან მხოლოდ 60 პროცენტი (ე. ი. 6) ამთავრებს დისტანციას? ასეთ კამერულ ღონისძიებას ყოველ დღე შეხვდებით ჩვენი ქალაქის ქუჩებში და მახლობელ მიდამოებში. ჯერ მხოლოდ სავარჯიშოდ გასული ყოველი საზოგადოების გუნდი სულ ცოტა 10-15 ველოსიპედისტს ითვლის. აქ კი ლაპარაკი გვაქვს ქალაქის პირველობაზე, რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უნდა „ჩაეკეტა" წლევანდელი სპორტული სეზონი. ველოსიპედისტებს ნუ ეწყინებათ, თუ ვიტყვით: როგორიც იყო სეზონი, ისეთივე შეჯიბრებით დამთავრდა იგი.

ახლა საკითხის მეორე მხარეს მივხედოთ. ვინ, რომელმა საზოგადოებამ არ გამოიყვანა გუნდი ამ ბედკრულ ჩემპიონატში? საყვედურის სიტყვებით პირველად „სპარტაკს" უნდა მივმართოთ, რადგან სხვებზე მეტად სწორედ მას შეეძლო ძლიერი გუნდის გამოყვანა და წარმატების მიღწევაც. სპარტაკელმა გ. კეხბამ პირველი ადგილი მოიპოვა, მაგრამ იგი მხოლოდ პირად ჩათვლაში გამოდიოდა. „სპარტაკს" კიდევ ორი მონაწილე რომ გამოეყვანა, შესაძლოა გუნდური პირველობა მას დარჩენოდა. თქმა იმისა, რომ საზოგადოებას არ ჰყავს კროსმენები, არ შეიძლება. ორი ჩასათვლელი მონაწილის აყვანა მას, უარეს შემთხვევაში, მაყურებლებიდან შეეძლო.

სრული გუნდებით (ანუ 3 ველოსიპედისტით) ასპარეზობა შეეძლოთ „დინამოსაც", „შრომით რეზერვებს" და არმიელებსაც. შეეძლოთ, მაგრამ ზედმეტ თავის შეწუხებად მიიჩნიეს იგი.

აღნიშნული ორგანიზაციების მწვრთნელები შესაძლოა შემოგვედავონ და გამოუსვლელობის მიზეზად ინვენტარის უქონლობა დაასახელონ. არც ეს არგუმენტი იქნება მისაღები. მოდით და ერთად გადავხედოთ საზოგადოებების მიერ წლის განმავლობაში მიღებული ინვენტარის სიას. დარწმუნებული ვართ, რომ 3 ველოსიპედისტის „შეიარაღება" არც ერთ საზოგადოებას არ გაუჭირდებოდა.

არა, მეგობრებო. აქ საქმე ინვენტარის უქონლობა როდია? ზოგი ველოსიპედისტი თავისი სურვილით, ე. წ. პარტიზანული მეთოდით მთელი წლის მანძილზე ემზადებოდა კროსისთვის. მათ კარგად იცოდნენ, როდის ტარდებოდა ჩემპიონატი და ჯეროვნადაც შეხვდნენ მას. სამწუხაროდ, მათი ჩამოთვლა მხოლოდ ცალი ხელის თითებზე შეიძლება. დანარჩენები კი — მოახლოებულ ტურნირს შებრუნებული ჭოგრიტით უყურებდნენ, ხელმძღვანელები კი ასე ფიქრობდნენ: „არც სხვა დროს დაქცეულა უჩვენოდ ქვეყანა და არც ახლა დაიქცევაო". ეს მართლაც ასეა. ქვეყანა არ დაიქცევა, მაგრამ პასუხს როდესმე ხომ მოგვთხოვენ?

ორიოდე წლის წინ კროსმენთა საკავშირო ჩემპიონატი სოხუმში ჩატარდა. საქართველოს ველოსიპედისტებმა ნაცნობ ტრასაზე თავისი გულშემატკივრების მხარდაჭერით მხოლოდ VII გუნდური ადგილი დაიკავეს. რა გარანტიაა, რომ მომავალ ასპარეზობებში ამ, ისედაც მოკრძალებულ შედეგს, არ გავაუარესებთ? გაისად, დეკემბერში საკავშირო ჩემპიონატი კვლავ სოხუმში მოეწყობა. თბილისის პირველობის მაჩვენებლებით და კროსმენთა სადღეისო პერსპექტივებით თუ ვიმსჯელებთ, VII ადგილიც სანატრელი უნდა გაგვიხდეს.

მოდით და ამ საკითხს ჩავუფიქრდეთ ყველამ ერთად.

ნ. ახვლედიანი.

• • •

თბილისის ველოკროსში გამარჯვებულმა ვ. კეხბამ („სპარტაკი") დისტანცია **1:03.40** დაფარა. II საპრიზო ადგილი წილად ხვდა „ბურევესტნიკის" წარმომადგენელ ა. ლომიძეს — **1:05.30**. განთიადელმა ს. გრიშკევიჩმა დისტანცია **1:06.10** გაიარა და III საპრიზო ადგილი დაისაკუთრა.

სურათზე: ს. გრიშკევიჩი კროსის დისტანციაზე.

ტრადიციული, საშემოდგომო...

თბილისის უცხო ენების პედაგოგიურ ინსტიტუტში დამთავრდა ტრადიციული საშემოდგომო სპორტული თამაშები, რომელშიც 150-მდე სტუდენტი მონაწილეობდა. ეს ასპარეზობა დიდი პოპულარობით სარგებლობს მომავალ პედაგოგთა შორის. ამჯერად თამაშების პროგრამაში შეტანილი იყო სპორტის 3 სახეობა: კალათბურთი, ხელბურთი და ფრენბურთი.

კალათბურთელ ქალთა ტურნირი გერმანული ენის ფაკულტეტის სტუდენტებმა მოიგეს, ფრენბურთელ ქალთა ასპარეზობაში კი „ინგლისელებმა" იმარჯვეს.

ხელბურთელთა შეჯიბრებაში გამოვიდნენ როგორც ქალთა, ისე ვაჟთა გუნდები. ვაჟებში ინსტიტუტის ჩემპიონის წოდება „ინგლისელებმა" მოიპოვეს, ქალებში კი — „გერმანელებმა".

საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილი ინგლისური ენის ფაკულტეტის სპორტსმენებმა დაისაკუთრეს.

მაგრამ სპორტული თამაშების პროგრამა ამით არ ამოწურულა: მის დასკვნით, შემაჯამებელ ნაწილს წარმოადგენდა მასობრივ-ტურისტული ასვლა მწვერვალ უძოზე. ინსტიტუტს ტურისტული ლაშქრობების მოწყობის მდიდარი ტრადიცია აქვს, ამიტომ უძოზე ასვლა სტუდენტებისთვის არც ისე რთული პრობლემა გახლდათ. მაგრამ ამ შემთხვევაში, ყურადსაღები ასვლის ხარისხი კი არ იყო, არამედ მასში მონაწილეთა რაოდენობა. მასობრივობით კი იგი მართლაც რომ სამაგალითო გამოდგა. ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღო 400-მდე ტურისტმა, რომელთა შორის იყვნენ როგორც სტუდენტები, ისე პროფესორ-მასწავლებლები.

• • •

სურათზე: ლაშქრობის მონაწილენი უძოს მთის მისადგომებთან.
ფოტო ზ. მეგრელიშვილისა.

მ. ბოტვინიკი: „მოთმინება იქონიეთ...“

იშვიათად ხდება, რომ საჭადრაკო შეჯიბრება ადრე დადგენილი გეგმით წარიმართოს და პროგნოზების მოყვარულთა წინასწარმეტყველებას ფრთები შეესხას. სტარტი საზონათშორისო ტურნირისა, რომელიც ტუნისის ქალაქ სუსში დაიწყო, ჯერჯერობით წინასწარმეტყველთა პროგნოზებს ადასტურებს. ამ „მისანთა“ უმეტესობამ უპირატესობა მისცა სამ საბჭოთა დიდოსტატს — გელერს, კორჩნოის და შტეინს, ამერიკელ ფიშერს, დანიელ ლარსენს და უნგრელ პორტიშს. ეს ექვსეული სტარტით სავსებით კმაყოფილი უნდა იყოს (თუმცა კაცმა რომ თქვას, საყვედური არც იუგოსლაველებს — ივკოვსა და გლიგორიჩს ეთქმით. ალბათ მათაც აქვთ თავიანთი შეხედულება იმ საკითხზე, თუ ვინ უნდა მოხვდეს პრეტენდენტთა ტურნირში).

მართალია, არის ერთი „პროგრამით გაუთვალისწინებელი“ მონაწილე, რომელიც სტარტის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში მოხვდა. ეს გახლავთ ჩეხოსლოვაკიელი დიდოსტატი ჰორტი. მაგრამ ჯერჯერობით იგი მხოლოდ ერთ ძლიერ მეტოქეს — პორტიშს შეხვდა და ამიტომ ფავორიტებს ალბათ არ აშინებთ ახალგაზრდა მოჭადრაკის იღბლიანი სტარტი.

მართალი იყო მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მიხეილ ბოტვინიკი, რომელმაც ასეთი პასუხი გასცა კითხვას: „რას იტყვით საზონათშორისო ტურნირის სტარტის გამო?“

— ჯერჯერობით ყველაფერი თავისი რიგით მიდის. ფიშერი და ლარსენი რომ კარგად ითამაშებდნენ, ეს უკვე ტურნირის დაწყებამდე იყო ცნობილი. ჩვენი მოჭადრაკეები სტარტზე ოდნავ შეფერხდნენ. ჩვენ ვიცოდით, რომ ასე მოხდებოდა, რადგან ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ. ერთი სიტყვით, მოთმინება იქონიეთ...

მოთმინება მოთმინებაა, მაგრამ ბრძოლის ზოგიერთი დეტალი უკვე გვაძლევს საშუალებას, რომ თუ დაბეჯითებით არა, მიახლოებით მაინც გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება. მაგალითად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ფიშერი ტურნირში არა მარტო შესანიშნავი მოჭადრაკის რეპუტაციას განიმტკიცებს, არამედ წუნია და ახირებული კაცის სახელსაც მოიხვეჭს. ტუნისში გამგზავრებამდე გელერმა ფიშერს მსაჯთა კოლეგიის რისხვა უწოდა. ბოლო ხანებში მათ ერთად ითამაშეს რამდენიმე ტურნირში და ფიშერს მუდამ მოთმინებიდან გამოჰყავდა არბიტრები თავისი უმთავრესად დაუსაბუთებელი პრეტენზიებით. სუსში ფიშერმა თავის თავს გადააჭარბა. ხან ერთი მაყურებელი უშლის ხელს, ხან მეორე. ხან ავანსცენაზე გადაიტანს მაგიდას, ხან სცენის სიღრმეში.

მაგრამ, აი, რა არის ყველაზე საინტერესო: ღელავენ მსაჯები, ღელავენ მონაწილენი. ფიშერი მორიგ სცენას დაამთავრებს, მშვიდად მიუჯდება მაგიდას და ვითომც აქ არაფერიო, თამაშს განაგრძობს. კორჩნოის მწვრთნელმა, დიდოსტატმა ვასიუკოვმა ტელეფონით გვიამბო ეს და ბოლოს დასძინა, ვერ გავიგე რისთვის სჭირდება ფიშერს ეს ყველაფერი. მართლაც რისთვის? ეს მხოლოდ ასე შეიძლება აიხსნას: ფიშერისათვის აუცილებელია, რომ პრესის ყურადღების ცენტრში იყოს. რას იზამთ, რეკლამა დიდ როლს თამაშობს პროფესიული მოჭადრაკის ცხოვრებაში... და მაინც, ასეა თუ ისე, ფიშერი, როგორც ყოველთვის, დაჯერებულად, უშეცდომოდ თამაშობს და პირველი ადგილის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად რჩება.

საზონათშორისო ტურნირის დაწყებამდე დანიელმა დიდოსტატმა ლარსენმა განაცხადა, რომ პირველი ჯილდოსთვის არ იბრძოლებს. მისი მიზანი მხოლოდ ექვსეულში მოხვედრაა. კარგი, მაგრამ არიან მოჭადრაკეები, რომლებისთვის გამარჯვების მიღწევა უფრო იოლია, ვიდრე ყაიმისა. ლარსენი შემოქმედებითი ტიპის დიდოსტატია. სწორად თქვა კორჩნოიმ, რომ ჩანაფიქრის სიღრმითა და ორიგინალობით ლარსენს მსოფლიოში ბადალი არ ჰყავს. თავის ნიჭსა და ტემპერამენტს ცივ გონებას ლარსენი ვერასოდეს უმორჩილებდა. იგი ამ ტურნირშიც აზარტულად და მწვავედ თამაშობს თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ.

შესარჩევ შეჯიბრებაში რომ ასეთი თამაში სახიფათოა, ამას სტარტზე ლარსენის მარცხიც ამტკიცებს. ამ შემთხვევაში ლარსენი როდია „დამნაშავე“. „ბრალი მიუძღვის“ მის მეტოქეს — პორტიშს. ნიჭიერი უნგრელი დიდოსტატი იმ მოჭადრაკეთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა სპორტული ფორმა უკვე პირველივე ტურებიდან ნათელია. ჩვეულებრივ, ეს კარგი ფორმაა. ამჯერად პორტიში, როგორც ტურნირის დასაწყისმა დაგვარწმუნა, მშვენიერ ფორმაშია. მან არა მარტო ლარსენს მოუგო, კინაღამ ფიშერიც იმსხვერპლა. პორტიშს რომ პარტიის გადადებისას უძლიერესი სვლა ჩაეწერა, უთუოდ მოუგებდა ამერიკელ მოჭადრაკეს.

რა შეიძლება ითქვას ჩვენს დიდოსტატებზე, რომლებიც სტარტზე ერთმანეთს შეხვდნენ? ისინი იძულებით კენჭისყრას დაემორჩილნენ და რასაკვირველია, არ სურდათ მაინცდამაინც დიდი რისკი გაეწიათ, მით უმეტეს, რომ ასეთ შეჯიბრებებში მეექვსე ადგილი პრაქტიკულად პირველს უთანაბრდება. შტეინმა მაინც დაამარცხა გიპსლისი, მაგრამ ეს არა მარტო შტეინის აგრესიულობით, არამედ მოქმედების ბედნიერი თუ უიღბლო განვითარებითაც აიხსნება. საქმე ისაა, რომ გიპსლისმა გაითამაშა ვარიანტი, რომლისთვისაც შტეინს სიახლე ჰქონდა შემონახული. რასაკვირველია, სსრ კავშირის ჩემპიონმა ეს შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა.

ტურნირის მეორე მეოთხედში საბჭოთა დიდოსტატებმა დაიწყეს თამაში ფიშერთან. შეიძლება ამ პარტიებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ ადგილების განაწილებაზე. გამობრძმედილი საჭადრაკო მიმომხილველები ამტკიცებენ, რომ „ადგილებს გაანაწილებენ“ არა ფავორიტები, არამედ აუტსაიდერები, — მორიდებული ოსტატები, რომლებიც სატურნირო ცხრილის ბოლოს მოთავსდებიან. სწორედ მათი ზოგიერთი წარმატება (როგორც, მაგალითად, კოლუმბიელი კუელარის გამარჯვება ამერიკელ რეშევსკისთან) დიდ გავლენას მოახდენს ფავორიტთა საბოლოო შედეგებზე. შეიძლება ეს ასეც მოხდეს, მაგრამ მოთმინება ვიქონიოთ...

ვ. ვასილიევი.

ნადიშამათი

პასუხი **ა. ბარნოვისა** და **თ. დუმბაძის** (ორივე — თბილისი) კითხვაზე: როგორია კოოპერატიული ამოცანა?

კოოპერატიული ამოცანა „ზღაპრული ჭადრაკის“ ერთ-ერთი გავრცელებული სახეობაა. ამოცანაში თამაშს შავები იწყებენ, ხოლო თეთრები მათ ხელს უწყობენ საკუთარი მეფის დაშამათებაში. ამგვარ ხელის შეწყობას (დამხმარე ძალას) ქართველები ნადს ვუწოდებთ. ამიტომ მიზანშეწონილად მივაჩნია კოოპერატიულ ამოცანას ქართულად ნადიშამათი შევარქვათ.

ნადიშამათის ამოცანა პირველად გერმანელმა მოჭადრაკემ და პრობლემისტმა მ. ლანგემ 1854 წელს შეადგინა, ხოლო 16 წლის შემდეგ ამ ამოცანების შედგენაში პირველი საერთაშორისო კონკურსი გამოცხადდა. ნადიშამათის ამოცანა ფართოდ მხოლოდ XX საუკუნეში გავრცელდა, უპირატესად უნგრეთში, გერმანიაში, ინგლისსა და იუგოსლავიაში.

ამოცანა მოკლებულია ამოხსნის სიმძაფრეს, იმ დაძაბულ ბრძოლას, რომელიც გვაღელვებს ჭადრაკში, მაგრამ თვით პრობლემისტებს იგი ხელს უწყობს ამა თუ იმ საკომპოზიციო თემის დამუშავებაში.

ჩვენს დროში ბევრგან ცხადდება ნადიშამათის ამოცანათა საერთაშორისო კონკურსები, რომლებშიც, სხვათა შორის, მონაწილეობენ საქართველოს პრობლემისტებიც ი. კრიხელი, გ. ნადარეიშვილი, ო. ტაბიძე და სხვები. აღსანიშნავია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, გორელი პრობლემისტის ი. კრიხელის წარმატება ჟურნალ „შახმატის“ (ლატვია) 1965 წლის კონკურსში, სადაც მან I პრიზი დაისაკუთრა.

თვალსაჩინოებისათვის გთავაზობთ ნადიშამათის ჩვენს პატარა ამოცანას.



ნადიშამათი სამ სვლაში

როგორც აღვნიშნეთ, თამაშს შავები იწყებენ: 1. ეb1+ ეb4 2. ძ1მ ეb3! 3. მb2 (შავებმა გაათავისუფლეს თეთრი ეტლი და...) 3. ... ეa3×.

როგორც ნახეთ, შავებმა ნადის (თეთრი ფიგურების) დახმარებით საკუთარი მეფე დაამათეს.

რ. თავარიანი,
საჭადრაკო კომპოზიტორი.

საქართველოს პირველობა

შედგა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

● **„აერო“ (გალი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 0:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).**

მიუხედავად იმისა, რომ მატჩის მსვლელობისას ანგარიში არ გახსნილა, იგი მიმდინარეობდა საკმაოდ საინტერესოდ და დაძაბულად. 0:0. — მხოლოდ ორივე გუნდის ფორვარდების არაზუსტი დარტყმების შედეგია.

● **ასკ (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:0. მსაჯი ვ. გოგაშვილი (თბილისი).**

თამაში დაიწყო არმიელთა კარის შტურმით. საკმარისი იყო „მეტალურგის“ თავდამსხმელებს მეტი მობილიზება გამოეჩინათ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე და ისინი საწადელს დასაწყისშივე მიაღწევდნენ. მაგრამ ასე არ მოხდა. 28-ე წუთზე თბილისელებმა კარგად გამოიყენეს თავიანთი ერთ-ერთი კონტრშეტევა და ცირეკიძემ ზუსტად გაგზავნა ბურთი სტუმრების კარში — 1:0. მცირე ხანში „მეტალურგს“ მიეცა ანგარიშის გათანაბრების რეალური შესაძლებლობა, მაგრამ მასპინძელთა კარში დანიშნული 11-მეტრიანი ვერ გამოიყენა ტოგონიძემ.

● **„ქართლი“ (გორის რაიონი)— „კოლხეთი“ (ცხაკაია) 1:1. მსაჯი ი. კუნჩინი (თბილისი).**

გორელებმა ენერგიულად დაიწყეს თამაში და მე-14 წუთზე ვაშაკიძემ წარმატება მოუტანა თავის გუნდს — 1:0. შემდგომში მდგომარეობა გათანაბრდა, ორივე გუნდს ჰქონდა ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, რომელთაგან გამოყენებულ იქნა მხოლოდ ერთი: ესებუამ გაქვითა ანგარიში — 1:1. აღსანიშნავია „კოლხეთის“ მეკარე ქაჩიბაიას კარგი თამაში.

● **„ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:5. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).**

● **„ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „განთიადი“ (ბორჯომი) 5:1. მსაჯი ი. მჭედლიშვილი (თბილისი).**

ანგარიში თამაშის დასაწყისშივე გახსნა ბორჯომელმა კაფაროვმა. ასეთი დებიუტის შემდეგ „განთიადს“ სრული უფლება ჰქონდა წარმატებაზე ეფიქრა, მაგრამ რკინიგზელებმა მაშინვე აგრძნობინეს მოწინააღმდეგეს, რომ არ იყვნენ განწყობილი წასაგებად. უკვე მე-8 წუთზე თანაბრობა აღდგა — 1:1. შემდგომში „ლოკომოტივს“ საფუძვლიანად ეპყრა ხელთ ინიციატივა და გამარჯვებაც მას დარჩა დიდი ანგარიშით — 5:1.

● **„ბახმარო“ (ჩოხატაური) — „სინათლე“ (თბილისი) 2:2. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).**

მიმდინარეობდა თამაშის მე-2 წუთი, როცა „სინათლის“ თავდამსხმელმა ჯამბრულიძემ აიღო ჩოხატაურელთა კარი. ტაიმის დასასრულს იმნაძემ ზუსტად შეასრულა 11-მეტრიანი დარტყმა და თბილისელები კიდევ უფრო დაწინაურდნენ — 2:0. ამ უპირატესობით დაიწყო „სინათლემ“ მეორე ტაიმი, მაგრამ სულ მალე მათ კარში დანიშნულ იქნა საპასუხო პენალტი და მოწერელიას დარტყმის შემდეგ ანგარიში გახდა 1:2. მასპინძლები სულ მეტი მონდომებით უტევდნენ მეტოქეს, რაც დამთავრდა გომელაურის მიერ გატანილი მეორე გოლით — 2:2.

● **„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) 1:1. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).**

ანგარიში გახსნეს მასპინძლებმა (გაბოძე) — 1:0. შესვენების შემდეგ სპარტაკელებმა დათმეს ინიციატივა და საშუალება მისცეს კოლმეურნე ფეხბურთელებს შეექმნათ კონტრთამაში. 75-ე წუთზე შენგელაიამ შორი მანძილიდან აღადგინა თანაფარდობა — 1:1.

● **„ისანი“ (თბილისი) — „კოლხეთი“ (ცხაკაია) 0:0. მსაჯი ა. ჯანანაშვილი (თბილისი).**

ყვარლის „დურუჯთან“ გამოუცხადებლობის გამო წულუკიძის „ფეიქარს“ ჩაეთვალა დამარცხება. ასევე მიესაჯა ახალციხის „მესხეთს“ წაგება თბილისის „ისანთან“.

I ჯგუფის II ქვეჯგუფი

II ზონა. „ზემო ქართლი“ (ხაშური) — „დინამო“ (ოჩამჩირე) 1:1, „სულორი“ (ვანი) „იმერეთი“ (თერჯოლა) 3:1, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „კოლხიდმშენი“ (ფოთი) 3:1.

ზონალური თამაშები. **I ზონა.** თეთრი წყარო — თელავი 4:2. **II ზონა.** ქუთაისი — მახარაძე 1:0, ბათუმი — ჩხოროწყუ 1:0.



გათამაშების ცხრილი
I ჯგუფის I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 2 ნოემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მერცხალი“ (მახარაძე)	36	20	13	3	49—19	53
„მეტალურგი“ (ზესტაფონი)	38	22	7	9	63—30	51
„დურუჯი“ (ყვარელი)	37	22	7	8	65—35	51
„კოლმეურნე“ (წალენჯიხა)	37	22	7	8	48—23	51
„კოლხეთი“ (ცხაკაია)	39	18	12	9	68—56	48
„სინათლე“ (თბილისი)	36	17	12	7	51—27	46
„მესხეთი“ (ახალციხე)	36	18	9	9	53—34	45
ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი)	37	17	8	12	66—45	42
„განთიადი“ (ბორჯომი)	37	16	8	13	47—66	40
„ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი)	37	13	13	11	60—53	39
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	36	14	10	12	50—41	38
„გარეჯი“ (საგარეჯო)	38	13	12	13	51—56	38
„სამცხე“ (აწყური)	38	13	12	13	27—36	38
ასკ (თბილისი)	37	14	8	15	38—48	36
„აერო“ (გალი)	38	13	9	16	40—50	35
„ქართლი“ (გორის რაიონი)	37	12	10	15	33—47	34
„ფეიქარი“ (წულუკიძე)	37	11	8	18	38—45	30
„სპარტაკი“ (ცხინვალი)	35	7	12	16	34—44	26
„ბახმარო“ (ჩოხატაური)	36	7	12	17	43—55	26
„ისანი“ (თბილისი)	38	6	14	18	28—51	26

„ლელო“ პასუხი...

ლიდერი შეიცვალა

სუსი, 1 ნოემბერი. საინტერესო შეხვედრებით აღინიშნა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირის XII ტური. პირველი დამარცხება განიცადა იუგოსლაველმა დიდოსტატმა მატანოვიჩმა. მან წააგო კოლუმბიელ კუელართან. ფიშერმა მოუგო თავის თანამემამულე ბირნს, შტეინმა — სატლს, კორჩნოიმ — ბუაზიზს, გელერმა — მეკინგს. ყაიმზე შეთანხმდნენ პორტიშ—ბილეკი და რეშევსკი—ჰორტი. 4 პარტია გადაიდო. ივკოვს მოსაგები პოზიცია აქვს სარაპუსთან, გლიგორიჩს — კავალეკთან, ლარსენს — გიპსლისთან. რთულ პოზიციაში შეწყდა მიაგმარსურენის პარტია მატულოვიჩთან.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ფიშერი და კორჩნოი ყაიმზე შეთანხმდნენ. გელერი დანებდა რეშევსკის, კავალეკ — სატლსისა და ბილეკ — ბარცაის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ამჟამად სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: ფიშერი — 8,5 (11-დან), ლარსენი — 7,5 (11). ჰორტი — 7,5 (12), გლიგორიჩი — 7 (10), კორჩნოი და მატანოვიჩი 7-7 (11), პორტიში—7 (12), გელერი — 6,5 (10), რეშევსკი — 6,5 (11), შტეინი — 6 (11), გიპსლისი— 5,5 (10).

უცხოეთის ამბები

ფეხ
ბურ
თი 67

ამსტერდამი. ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელმა გ. კესლერმა ამ დღეებში ასეთი ოპტიმისტური განცხადება გააკეთა: — აუცილებლად ვითამაშებთ მსოფლიოს მორიგ ჩემპიონატში. ჩვენი ნაკრები კარგადაა შეთამაშებული. მის ღერძს „აიაქსისა“ და „ფეიენოორდის“ მოთამაშეები შეადგენენ. ნუნინგა, კაიზერი და გროტი ევროპული კლასის ფეხბურთელები არიან. ამ განცხადებასთან დაკავშირებით ჰოლანდიელმა ჟურნალისტებმა მწვრთნელს მოაგონეს, რომ მისმა ნაკრებმა 10 უკანასკნელი თამაშიდან მოიგო მხოლოდ 2.

მილანი. ჟურნალი „ლო სპორტ ილუსტრატო“ იუწყება, რომ „ინტერის“ მწვრთნელად ყოფნის დროს ე. ერერამ გაანთავისუფლა შემდეგი ცნობილი უცხოელი ფეხბურთელები: ანჯელილო (არგენტინა), ფირმანი (ინგლისი), ლინდსკოგი (შვეცია), ჟაირი (ბრაზილია), ჰიტჩენსი (ინგლისი), მასხიო (არგენტინა), შიმანიაკი (ვფრ), პაგანი (არგენტინა), პეირო (ესპანეთი), მანფრედინი (არგენტინა) და ვინიჩიო (ბრაზილია). რკინისებური დისციპლინა — აი, რა არ მოსწონდათ ამ „ვარსკვლავებს“.

ლონდონი. როგორც ინგლისელი მიმომხილველები იუწყებიან, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ა. რამსეიმ „უბის წიგნაკში ჩაინიშნა“ 100 ფეხბურთელის გვარი, რომელთაც 23 წელი არ შესრულებიათ. ზოგი მათგანი, მწვრთნელის აზრით, მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში გამოვა.

მადრიდი. როგორც ცნობილმა მილიონერმა ს. ბერნაბეუმ განაცხადა, იგი დაბერდა და აღარ აპირებს მონაწილეობა მიიღოს „რეალის“ პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში. ს. ბერნაბეუ „რეალის“ პრეზიდენტი იყო 24 წლის განმავლობაში.

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების ფეხბურთის ლიგამ (რომელსაც ფიფა არ სცნობს), თავისი პირველი სეზონი დაამთავრა 4.912.000 დოლარი დეფიციტით, იუწყება ფიფა-ს ბიულეტენი „ფიფა-ნიუსი“.

ტოკიო. იაპონიის ფეხბურთის ფედერაციის დადგენილებით ამ ქვეყანაში შემოღებულია პროფესიონალიზმი.

მილანი. ცნობილმა მწვრთნელმა ე. ერერამ განაცხადა, მექსიკა მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატში რიგითი მონაწილე კი არ იქნება, არამედ ერთ-ერთი ფავორიტი. „მე მარტო საკუთარი მინდორი და მაყურებელთა მხარდაჭერა არა მაქვს მხედველობაში. მექსიკელებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ თანამედროვე ტაქტიკის ათვისების საქმეში“ — თქვა ერერამ.

სან-პაულუ. არგენტინის ნაკრების ცნობილმა ცენტრალურმა მცველმა რ. დელგადომ ხელი მოაწერა კონტრაქტს პელეს კლუბ „სანტოსთან“.

ცეცხლი და ყინული

კანადის ჰოკეისტები გრენობლისთვის ემზადებიან

ვენის ყინული კარგა ხანია გადნა. მალე გრენობლში დაინთება ოლიმპიური ცეცხლი. კანადის ჰოკეისტების მწვრთნელს ჯეკ მაკლეოდს და გუნდის სულიერ მოძღვარს მამა ბაუერს უკვე აღარ რჩებათ დრო კორესპონდენტებთან შეხვედრებისთვის, მაგრამ საბჭოთა ჟურნალისტისთვის — ჰოკეის დიდი სახელმწიფოს გულშემატკივართა წარმომადგენლისთვის — ისინი სიამოვნებით უშვებენ გამონაკლისს.

კანადის ჰოკეიზე ძნელია რაიმე ახალი დაიწეროს, მასზე უკვე ყველაფერი ითქვა. არ არსებობს შეკითხვა, რომელზეც ჯეკ მაკლეოდს უკვე პასუხი არ გაეცეს.

იგი ელოდა, რომ მივცემდი შეკითხვას, რომელიც საბჭოთა ჰოკეისტებმა კანადელებისთვის კარგა ხანია „ყოფნა-არყოფნის“ საკითხად აქციეს: იქნება თუ არა კანადა მსოფლიო ჩემპიონი? ელოდა და არც შემცდარა.

მაკლეოდმა მხოლოდ ვენის მარცხის მიზეზი ახსნა: „ბიჭებიდან ბევრმა ივადმყოფა სწორედ ავსტრიაში გაფრენის წინ. ოთხი ჰოკეისტი სერიოზულად დაშავდა ჩემპიონატის დროს. ამან დიდად შეუშალა ხელი ჩვენს წარმატებას“.

კანადის პროფესიული ჰოკეი დღესაც გახლავთ თოვლიანი მწვერვალი, რომელიც ევროპელ მოყვარულებს ჯერჯერობით ვერ დაუპყრიათ. როცა დიდი ექვსეულის გუნდების თამაშს უყურებ (ახლა ისინი თორმეტნი არიან), მინდორზე ხედავ მოთამაშეებს, რომლებისთვისაც შეუძლებელი არაფერია. ამას დაუმატეთ ისიც, რასაც შთაგონება აძლევს ჭეშმარიტ მებრძოლებსა და პოეტებს. კანადის პროფესიონალები ღირსნიც არიან თავისი დიდებისა. ეს დიდება კი აშკარაა. საკმარისია ითქვას, რომ თანამედროვე ჰოკეის ლეგენდარული თავდამსხმელების ბობი ჰალისა და სტენლი მიკიტას გამოსახულებები მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კუნსტკამერებს ამშვენებს ჩერჩილისა და ბრიჯიტ ბარდოს ცვილის ფაგურებთან ერთად.

ამიტომ იყო, რომ ცოტა მოულოდნელი მეჩვენა მაკლეოდის პასუხი ჩემს შეკითხვაზე: რატომ არ გზავნის კანადა ოლიმპიურ თამაშებში მთლიანად ყოფილი პროფესიონალებით დაკომპლექტებულ გუნდს? არა მგონია, რომ მისი სიტყვები მწვრთნელის თავმოყვარეობით იყოს ნაკარნახევი. ეს უფრო ევროპული ჰოკეის აღიარებაა: „მე და მამა ბაუერი დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი შექმნილი კლუბი სჯობს ყველა სხვას, რომელიც ყოფილი პროფესიონალებით შეიძლებოდა დაკომპლექტებულიყო. ამას გარდა, ჩვენის აზრით, სულაც არაა აუცილებელი, რომ კარგი მოთამაშე პროფესიონალი იყოს“.

22 აგვისტოდან ნაკრების კანდიდატები ყოველდღე ათობით ჰოკჯოხას ამტვრევენ ვინიპეგის ყინულის სარბიელზე. ვინ იასპარეზებს მათგან გრენობლში? რა მნიშვნელობას ანიჭებენ მწვრთნელები ვენის ბატალიებში მონაწილეობას? კანადის ჰოკეის მესვეურებს თეთრ ოლიმპიადაზე შარშანდელი გუნდი მიჰყავთ. რა თქმა უნდა, ნაკრებში შეიყვანენ ორ-სამ ახალბედასაც.

შორეულ ქვეყნებში საასპარეზოდ გამგზავრებისას ნაკრების ხელმძღვანელებს მუდამ ჰქონდათ იმედი, რომ მათი გუნდი ბოლოსდაბოლოს ოქროს იგდებდა ხელთ. და მაინც, თავის დაზღვევის მიზნით, ისინი მუდამ მიმართავდნენ პროფესიონალებს. მაკლეოდმა დაკარგა ჰოკეის ეროვნული ლიგის რწმენა. ამბობს, ამჯერად არც ჯეკ ბოუენს წავიყვანთ, არც კარლ ბრევერსო.

იმ მიზნით, რომ საბოლოოდ გამომერკვია ყოფილი პროფესიონალის — ჯეკ მაკლეოდის აზრი პროფესიონალთა და მოყვარულთა შესაძლებლობებზე, მას ერთი შეკითხვა მივეცი: მოიგებდა მსოფლიო პირველობას ჰოკეის ეროვნული ლიგის ერთ-ერთი კლუბი, ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება რომ მიეცათ? პასუხი განაჩენს ჰგავდა: „დღეს პროფესიულ კლუბს მეტისმეტად გაუჭირდებოდა ევროპაში ჩემპიონის ტიტულის მოპოვება“.

ვინ მოიხვეჭს ამჯერად ოლიმპიურ ოქროს, ვერცხლს და არც ისე კეთილშობილ, მაგრამ მაინც გამორჩეულ ბრინჯაოს?

მაკლეოდმა თქვა:

— მეძნელება წინასწარ ადგილების განაწილება, მაგრამ, ვფიქრობ, სსრ კავშირს, კანადას, შვეციას და ჩეხოსლოვაკიას გამარჯვების თანაბარი შანსები აქვთ.

ეს ჩემი მეორე საუბარი იყო კანადის გუნდის მწვრთნელთან. პირველად მან ვენის ჩემპიონატის წინ ჩამოვართვი ინტერვიუ. კანადელებმა ის-ის იყო მოიგეს საუკუნის ტურნირი, რომელიც მათს ქვეყანაში ტარდებოდა. მაკლეოდს ჯერაც არ განელებოდა გამარჯვების სიხარული. მაშინ მის პასუხებსა და პროგნოზებს თვითდაჯერების საკმაო კვალი აჩნდა. ახლა იგი გაცილებით დინჯად, თავშეკავებით ლაპარაკობს. მწვრთნელის უდიდესი სურვილი, რომ თავისი ბიჭები ოლიმპის მწვერვალზე ნახოს, ჭეშმარიტად ოლიმპიური სიმშვიდის ყინულს ქვეშაა გულმოდგინედ დამალული. სხვათა შორის, ეს განწყობილება ნიშანდობლივია მთელი გუნდისთვის, რომელიც თავისი ქვეყნიდან შორს სერიოზულ ბრძოლას აპირებს ევროპელებთან.

შინაურმა კედლებმა კი მათ საკმაო დახმარება გაუწიეს საუკუნის ტურნირში. ევროპაში კანადელი გულშემატკივრები არ იქნებიან. როგორ იმოქმედებს ეს გუნდზე?

მაკლეოდს აფიქრებს ეს ამბავი: „რასაკვირველია, ჩვენი გუნდი მაშინ უკეთ თამაშობს, როცა გულშემატკივრები ამხნევებენ და თითქოს უბიძგებენ წარმატებისკენ“.

გულშემატკივრების მხარდაჭერა გარეგნული ფაქტორია. არის თუ არა შინაგანი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს გუნდის წარმატებას? დიახ, ასეთი მიზეზები არის. მწვრთნელის აზრით, კანადის ნაკრების მთავარი ნაკლი ის გახლავთ, რომ მისი თავდამსხმელები საკმარის მონდომებას არ იჩენენ შაიბის გატანისთვის. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგიერთი გუნდის მცველები და მეკარეები შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ მათ ცდებს, გასაგებია, რატომ მიჰყო ხელი მაკლეოდმა ესოდენი მონდომებით ამ სენის მკურნალობას. იგი ქირურგიულ ჩარევასაც არ ერიდება. დამთმობსა და მშიშარას გრენობლში არ გაუშვებენ მარტო იმისთვის, რომ ოლიმპიურ ყინულზე საკუთარი გამოსახულების ცქერით დასტკბეს.

საინტერესოა კანადელი მწვრთნელის აზრი საბჭოთა მოთამაშეების ავსა და კარგზე. „სსრ კავშირის ნაკრების ჰოკეისტების ყველაზე დიდ ნაკლად მიმაჩნია, რომ ისინი ძალზე მექანიკურად თამაშობენ. მომწონს მათი დისციპლინა და მძლავრი პოზიციური თამაში“.

მაკლეოდის ბოლო აზრი ადასტურებს იმ შეხედულებას, რომ ინტელექტუალური დატვირთვით თანამედროვე ჰოკეი ჭადრაკს უახლოვდება. და როგორც არ უნდა დამთავრდეს დიდოსტატების (ჩერნიშევისა და ტარასოვის — ერთის მხრივ, მაკლეოდისა და ბაუერის — მეორეს მხრივ) პარტია, ჩვენი ბიჭები კიდევ ერთხელ გამოავლენენ იმპროვიზაციის, დამოუკიდებელი, გადამწყვეტი მოქმედების უნარს, რაც „დაფაზე“ შექმნილი პოზიციით იქნება ნაკარნახევი. ასე რომ, მაკლეოდი, ჩემის აზრით, ცდება, როცა ჩვენების მექანიკურ თამაშზე ლაპარაკობს.

ჰოკეის მოედანზე თორმეტი ჰოკეისტი უნდა თამაშობდეს. მაგრამ ეს რიცხვი ხანდახან დამოკიდებულია მათზე, ორ მონაწილეზეც, რომლებიც ყინულზე მსაჯის ზოლიან კოსტუმებში გამოწყობილნი გამოდიან. ისინი არც ისე იშვიათად ცვლიან მოთამაშეთა რაოდენობას და ეს ცვლილება უმეტესად კლებით გამოიხატება. დიალექტიკის კანონით, ეს დაუყოვნებლივ ახდენს გავლენას ხარისხზე და, აქედან გამომდინარე, შეხვედრის შედეგზე. კანადელები უფრო ხშირი სტუმრები არიან საჯარიმო სკამისა. როგორც ჩანს, მათ ამიტომაც აქციეს ტრადიციად ევროპულ მსაჯობაზე ჩივილი. აი, ახლაც, რომ ვკითხე, რა აზრისა ხართ მსოფლიო ჩემპიონატების მსაჯობაზე-მეთქი, მაკლეოდმა მიპასუხა: „მე მგონია, რომ მანამდე, სანამ ევროპელები სამი მსაჯის სისტემაზე არ გადავლენ, ორი რეფერის საკითხი მსოფლიო ტურნირების ყველაზე მტკივნეული საკითხი იქნება“.

ჯეკ მაკლეოდი დღემდე მონაწილეობს თავისი გუნდის საწვრთნელ ბატალიებში. როცა კანადელი მწვრთნელი ცოტა არ იყოს, მოუხეშავად გამოვა ჰოკეის ბილიკზე, საქმეში ჩაუხედავ კაცს ეგონება, მას მარტო კოქტეილის ჭიქაში თუ უნახავს ყინული. მაგრამ აი, იგი ხელში იღებს ჰოკჯოხას და ეს შთაბეჭდილებაც მყისვე ქრება. მაკლეოდისგან მართლაც ბევრს ისწავლიან მისი შეგირდები. ამას დაუმატეთ გაკვეთილები, რასაც კანადელებს საბჭოთა, ჩეხოსლოვაკიელი და შვედი ჰოკეისტები აძლევენ. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ კანადის სპორტსმენებს აქვთ იმედის საფუძველი, რომ მათაც შეუძლიათ ოქროს მედლებით მკერდდამშვენებული დაბრუნდნენ შინ.

ბ. კოროლიოვი,

აას-ის კორესპონდენტი კანადაში.

მაკლეოდი.



კანადის ჰოკეისტები ჩეხოსლოვაკიელებთან ერთად მუდამ იყვნენ და რჩებიან საბჭოთა სპორტსმენების მთავარ მეტოქეებად. ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიამ ამ ორი ქვეყნის ჰოკეისტთა ბრძოლის ბევრი საინტერესო ფურცელი შემოგვინახა. ძველი სპორტული მეტოქეები გრენობლში ერთხელ კიდევ მოსინჯავენ ერთმანეთის ძალას. კანადის ნაკრების შემადგენლობა ყოველი ჩემპიონატის წინ საფუძვლიანად იცვლება, ამიტომ ძნელი სათქმელია ითამაშებენ თუ არა ფოტოზე აღბეჭდილი ჰოკეისტები გრენობლში. ნაკრების ბოლოდროინდელ ვარიანტში კი მე-14 ნომერს — ბურბონეს ერთ-ერთი წამყვანი როლი ეკისრა. მარცხნივ ხელებაწეული ჰოკეისტი ნაკრების დებიუტანტი ჰარგრივსი გახლავთ. სურათი გადაღებულია ფინელებთან შეხვედრის დროს (გაიმარჯვეს კანადელებმა — 5:1).

ფოტო „სტადიონისა“ (ჩეხოსლოვაკია).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

▲ **ზაგრები.** იუგოსლავიის მძლეოსანთა ჩემპიონატი მოიგო „ცრვენა ზვეზდამ“. პირად ტურნირში ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა ს. კრემერმა, რომელმაც 200 მეტრზე რბენაში ახალი ეროვნული რეკორდი (21,3) დაამყარა.

▲ **ლონდონი.** ინგლისის რამდენიმე სტაიერმა სცადა 1-საათიან რბენაში მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება. ასპარეზობის დაწყებისთანავე ძლიერი წვიმა წამოვიდა და ამიტომ მიზანი განუხორციელებელი დარჩა. ყველას აჯობა ჯ. ადლერმა, რომელმაც ერთ საათში 19 კმ 984 მ გაირბინა. ეს 680 მეტრით ნაკლებია ბელგიელი გ. რულანტსის მსოფლიო რეკორდზე.

▲ **პარიზი.** პროფესიული ველოსპორტის ფედერაციის ტექნიკურმა კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ მსოფლიო რეკორდად არ დაამტკიცონ ფრანგ ჟ. ანკეტილის მიერ 27 სექტემბერს ნაჩვენები შედეგი (47 კმ, 493 მ და 66 სმ საათში). ამ გადაწყვეტილების მიზეზი ის გახლავთ, რომ რეკორდის დამყარების შემდეგ ანკეტილმა უარი თქვა საექიმო შემოწმებაზე.

თბილისის სპორტული [illegible]

სპორტული ტანვარჯიში. ცენტრალური სპორტსკოლის ტანვარჯიშული დარბაზი (პეტრიაშვილის ქ. № 7). **დღეს — საქართველოს პირად-გუნდური პირველობის დასკვნითი დღე.** დასაწყისი 18 ს.

მხატვრული ტანვარჯიში. ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშული დარბაზი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49). **2-3 ნოემბერი. „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა 1950-52 წლებში დაბადებულ გოგონებს შორის.** დასაწყისი 15 ს.

შაში. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). **2-10 ნოემბერი. ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მეგობრობის ტურნირი.** დასაწყისი 17 ს.

ქართული ჭიდაობა. კიროვის სახ. პარკის კალათბურთის მოედანი. **3-5 ნოემბერი. „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს უძლიერეს მოჭიდავეთა ფინალური შეჯიბრება.** დასაწყისი 11 ს. და 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 8 უე 03420